საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბრძანება №3/ნ

2021 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 07/08/2018, 010240070.22.037.016139) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) წარმოადგენს დეპარტამენტს საქართველოს საერთო სასამართლოებში და უცხო ქვეყნის სასამართლო(ებ)ში.

1^2. იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე(ები) (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე(ები)), სამმართველოს უფროსები (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ(ებ)ი)) და შესაბამისი სპეციალისტები წარმოადგენენ დეპარტამენტს საქართველოს საერთო სასამართლოებსა და უცხო ქვეყნის სასამართლო(ებ)ში, შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრი — **ირაკლი ქარსელაძე**